საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49–ე მუხლის მოთხოვნათა შესაბამისად საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში საჯარო ინფორმაციის გაცემის მდგომარეობის შესახებ 2025 წლის ანგარიში

საანგარიშო პერიოდში საქართველოს მთავრობის ადმინისტრაცია (შემდგომში - ადმინისტრაცია) საქმიანობას ახორციელებდა საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის (შემდგომში - კოდექსი) მოთხოვნათა შესაბამისად.

საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებით შემოსული მოთხოვნები ძირითადად ეხებოდა საკანონმდებლო ინიციატივების, საქართველოს პრემიერ-მინისტრის ბრძანებების, საქართველოს მთავრობის დადგენილებებისა და განკარგულებების, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ გაწეული სხვადასხვა სახის ხარჯების, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში დასაქმებული პირების შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაციის მიწოდებას.

2025 წლის საანგარიშო პერიოდში საჯარო ინფორმაციის გაცემის მოთხოვნით საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციაში რეგისტრირებულია სულ 83 წერილობითი განცხადება, აქედან: საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის მიერ განხილულ იქნა და პასუხი გაეცა 53 მოთხოვნას, 22 განცხადება ზემოაღნიშნული კოდექსის მე-80 მუხლის თანახმად გაიგზავნა შესაბამის უფლებამოსილ ადმინისტრაციულ ორგანოში, ხოლო 8 განცხადებაზე მიმდინარეობს საქმისწარმოება.

ადმინისტრაციაში 2025 წელს, საჯარო ინფორმაციის გაუცემლობის გამო წარმოდგენილ იქნა 1 ადმინისტრაციული საჩივარი, ამასთან, მოთხოვნილი ინფორმაციის გაუცემლობის საფუძვლით სასამართლოში წარდგენილია 1 სარჩელი. აგრეთვე, კოდექსის 49-ე მუხლის „ზ“ ქვეპუნქტის შესაბამისად, გადაწყვეტილების გასაჩივრებასთან დაკავშირებული ხარჯები, მათ შორის მხარის სასარგებლოდ თანხების გადახდის ვალდებულება, 2025 წელს ადმინისტრაციას არ წარმოშობია.

ადმინისტრაციას, შესასრულებელი სამუშაოების სპეციფიკის გათვალისწინებით გააჩნია მონაცემთა ბაზები, მათ შორის არის მონაცემთა ბაზა, რომელიც შეიცავს თანამშრომელთა პერსონალურ მონაცემებს.

ადმინისტრაციის პასუხისმგებელ მოხელეთა მიერ კოდექსის მოთხოვნათა დარღვევის გამო, 2025 წელს დისციპლინური სახდელის შეფარდება არ განხორციელებულა.

„საქართველოს მთავრობის სტრუქტურის, უფლებამოსილებისა და საქმიანობის წესის შესახებ“ საქართველოს კანონის მე–12 მუხლისა და ასევე საქართველოს მთავრობის რეგლამენტის შესაბამისად, საქართველოს მთავრობის სხდომა, როგორც წესი, დახურულია. შესაბამისად, საანგარიშო პერიოდის განმავლობაში მთავრობის

სხდომები იმართებოდა კანონით დადგენილი წესით. საქართველოს მთავრობის სხდომების საჯაროდ გამართვის შესახებ გადაწყვეტილება მიღებული არ ყოფილა.

ამასთან, საქართველოს მთავრობის ვებ-გვერდზე განთავსებულია საქართველოს მთავრობის სხდომების დღის წესრიგი და მიღებული გადაწყვეტილებები. მთავრობის სხდომის შემდეგ იმართება საქართველოს მთავრობის წევრთა ბრიფინგები.